ჩემი საქართველო

№56, ოქტომბერი, 2018

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

დამფუძნებელი საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

+ [illegible]

[illegible]

ПРОФЕССОР

РЕДАКТОРИС ПРИЗНАНИЕ

გარი ჩაფიძე: – პედაგოგიკის დეონტოლოგია

გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთ „ჩემი საქართველო“ №53-54-55

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით დავადგინე, რომ ყველაზე მთავარი ბავშვის სიყვარულია, ისეთის, როგორიც ის არის! არც თუ ხშირად, მაგრამ არც თუ იშვიათად, კოლეგებისაგან გამიგონია: – ეს რთულად აღსაზრდელია! – და ცდილობენ „ჩამოიშორონ“ ასეთი ბავშვები... ეს ხომ იგივეა, რომ ექიმმა უარი თქვას ურთულესი ოპერაციის ჩატარებაზე... ეს ხომ იგივეა, რომ პოლიციელმა უარი თქვას საშიში დამნაშავის დაჭერაზე... დიახ, იგივეა! ამიტომაც, პედაგოგიური მუშაობის სრულყოფილება თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალიზმზე უნდა ააგო.

სტუდენტთა ახალი ნაკადის გაცნობას სასწავლო წლის დაწყებისთანავე სხვადასხვა ორიგინალობით ვახერხებ, რათა უფრო ახლოს დავინახო თითოეული მათგანი... ამ მიზნით პირველკურსელთა პირველი დავალება ყოველთვის უცვლელი მაქვს: – დაწერონ თხზულება თემაზე „მე რომ ამ სასწავლო ცენტრის რექტორი ვიყო“... შემდეგ, ნაშრომების განხილვის კვალობაზე, პრაქტიკულად ვდგამ გაბედულ ნაბიჯებს სასწავლებლის შემდგომი პერსპექტივით... მაგრამ ეს როდია ამოწურვა საკითხთა გლობალიზაციის. ჩემთვის მთავარია თითოეული სტუდენტი ვიცოდე და ამ ცოდნის გათვალისწინებით, შინაგანი „მე“-ს შეცნობით, მის სულიერებას ჩავწვდე. ამიტომაც ხშირად ლექციაზე ადამიანურ გრძნობებზე ვსაუბრობ.

– აბა, მარიამ! – მივმართავ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს – წავიოცნებოთ... შენ დაამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, გათხოვდი, შენი ქმარი შენსავით კეთილი და კარგია... ოცნებაც აგიხდა, სამსახური ტელევიზიაში დაიწყე... საინტერესო სიუჟეტებს ამზადებ, გვერდით ყოველთვის გყავს სიმპათიური ოპერატორი, თქვენ მეგობრობთ, თანდათან ამჩნევ, რომ ეს მეგობრობა სხვა გრძნობაში, უფრო დიდ გრძნობაში, სიყვარულში იზრდება... სამსახურში მარტო პროფესიონალიზმის სიყვარულით კი არა, გიორგის შესახვედრადაც იჩქარი... ვის გაუმხელ ამის შესახებ პირველად? არადა თქმა აუცილებელია... შინაგანი ხმა გტანჯავს...

– ვის გავუმხელ? პირველ რიგში მეგობარს!

– ვინაა შენი მეგობარი?

– უპირველესად ჩემი და,

– როგორია ის?

მარიამი გატაცებით მოგვითხრობს თავის დაზე, თავის უპირველეს მეგობარსა და მესაიდუმლეზე და თან საკუთარ სახესაც გვაჩვენებს... ამ საკითხით ჩემზე არანაკლებ ინტერესდებიან თანაკურსელები...

– კიდევ, კიდევ ვის გაუმხელ ამ გრძნობის არსებობას?

– დედას!

– დედას? – ჩავეძიე – ბედნიერებაა თუ ასეთი რამ შეგიძლია დედას უთხრა.

– დიახ! ის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი და გამგებია, დედა ყველაფერს გამიგებს, მე მას არაფერს ვუფიცავ, ჩვენს შორის დამალული არაფერია...

ასე ვეცნობი მარიამის შინაგან ბუნებას მის ოჯახთან ერთად, უკვე ვიცი როგორ ვიმუშაო მასთან!

მომდევნო ლექციაზე ისევ ორიგინალური ხერხით ირინას შინაგან სამყაროს გავეცნობი...

ეს ურთიერთთანამშრომლობის მოტივი კი ორივე მხარეზეა დამოკიდებული. მე ვთვლი, რომ სტუდენტის ასაკის პიროვნებას აღმზრდელის შიში არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება ხანდახან ვიყვირო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბრაზიანი ვარ! სხვათა შორის, ვინც მე არ მაინტერესებს, იმას არც ვუყვირი... ზოგჯერ აშკარად ჩანს, რომ სტუდენტს სწავლა არ უნდა, ერთხელ ეტყვი, მეორეჯერ აუხსნი, ბოლოს დაუყვირებ კიდეც! უცხოეთში კი ეს პრობლემა არ დგას. იქ 15-16 წლისანი კი არ მიდიან სასწავლებელში, არამედ გაცილებით დიდები და ჭეშმარიტად ცოდნის მიღების სურვილს მოწყურებულნი...

ყველა ქვეყანას თავისი საგანმანათლებლო სისტემა აქვს. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ინგლისელები ხუმრობდნენ: – ჩვენებური კრიკეტი და ინგლისის განათლების სისტემა შეუძლებელია ავუხსნათ და გავაგებინოთ უცხოელებსო... აქ შევხვდებით სხვადასხვა ტიპის სკოლებს, სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, განსხვავებულია პროგრამები, შეფასების სისტემები. ყველა ბავშვის ერთნაირი ტიპის სკოლებში, ერთნაირი პროგრამით სწავლება, ინგლისელთა უმრავლესობის განუხორციელებელ ოცნებად რჩება. ინგლისის სკოლა ვითარდება სახელმწიფოებრივი კანონების ქვეყნის უნივერსიტეტებისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსური მონოპოლიების, მასწავლებელთა პროფკავშირების და ხშირად თვით მოსწავლეთა მოთხოვნების შესაბამისად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სტუდენტთა მეთვრამეტე სამეცნიერო კონფერენცია

ჩვეული ორგანიზებულობითა და მეცნიერული მიღწევების სრულყოფით, მაღალ დონეზე წარიმართა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტთა მეთვრამეტე სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მეჩვიდმეტე სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულები მონაწილეობდნენ და რომელსაც ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქი მასპინძლობდა, ყველა მონაწილეს თავიდანვე მიენიჭა კონფერენციის დელეგატის სტატუსი და სპეციალურ მოწმობასთან ერთად სამკერდე ნიშანიც გადაეცა, იყო საუბრები მიღწევებსა და მომავლის პერსპექტივებზე, ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ, მოკლედ მიმოიხილა გასული ერთი წელი და შემეცნებითი სრულფასოვნების გეგმებიც დასახა, მანვე აუდიტორიას წარუდგინა მოწვეული სტუმრები საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილე, საელჩოს პირველი მდივანი ბატონი ვიქტორ სემიონოვი და ამერიკის შეერთებული შტატების, პენსილვანიის შტატის, ქ.ფილადელფიის „ჯორჯიან ინტერნაციონალ უნივერსიტეტ"-ის რექტორი, დოქტორი ზვიად ლაზარაშვილი, რომელთა გამოსვლებმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, შემდეგ ტრიბუნა სტუდენტებმა დაიკავეს, სამეცნიერო კონფერენციაში ლიკა მახატლიშვილი – რუსთავიდან, მელანო დიაკონიძე – თერჯოლიდან, ემინე გორგაძე – ოზურგეთიდან, ირმა ბადრიაშვილი – თბილისიდან, მაია აბრამიშვილი – ჭიათურიდან, რუსუდან გაფრინდაშვილი – ლაგოდეხიდან, მარიამ ნადირაძე – ჭიათურიდან, ანა თენიეშვილი – ოზურგეთიდან, ფერიდე ბურჯანაძე – რუსთავიდან, ანნა გაფრინდაშვილი – ჭიათურიდან, ეკა კუბლაშვილი – თერჯოლიდან, ვალერია ლეკიაშვილი – რუსთავიდან, ანა ხაჩატურიანი – თბილისიდან, სალომე პაპიძე –ჭიათურიდან, ნინო ქორთიევა – ლაგოდეხიდან, თეა ამოზაშვილი – თელავიდან, ლანა ფრიდონაშვილი – რუსთავიდან, მარიამ ჭუმბურიძე – თბილისიდან, თეონა ასპანიძე – მარნეულიდან, ლია გოთუა – ოზურგეთიდან, სალომე პატარაია – რუსთავიდან, ანა წიქარიშვილი – ლაგოდეხიდან, სუსანა ქევხიშვილი – თბილისიდან, გვანცა გვენეტაძე – თერჯოლიდან, ნინა ბაუერი – რუსთავიდან – ერთურთს პირველობისთვის ეჯიბრებოდნენ, ხუმრობა ხომ არაა, იმ პრიზის დაუფლება, 10-დღით უკრაინის ტერიტორიაზე მოგზაურობა–დასვენების უფლებას რომ გაძლევს, უკრაინის სახელმწიფოს სრული დაფინანსებით. სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა გამარჯვება წილად ხვდა ნინო ქორთიევას, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის ბანკის ოპერატორის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტს, თემის ხელმძღვანელი სოფიკო ტაბატაძე. ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტები სამზადისს მეცხრამეტე სამეცნიერო კონფერენციისათვის დაიწყებენ.

სტუმრად საბავშვო ბაღში

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის (რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე) ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქის „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში" სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფლაგმანად დაარსების პირველი დღიდანვე იქცა, როგორც მსოფლიოში პირველი, ყველაზე კრიატიული აზროვნების სიმბოლო, ამიტომაც გადმოინაცვლა რუსთავში, მსოფლიო მედიის ეპიცენტრმა და მასმედიის თითქმის ყველა საშუალებამ მოუთხრო მილიონობით ადამიანს რუსთავში მომხდარ ინოვაციაზე, ამიტომაც ყოველდღიურად მოდიან ჩვენთან როგორც საზღვარგარეთიდან – ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან თუ რაიონებიდან ინტერესთა სფეროს დასაკმაყოფილებლად, ამ დღეებში, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო ბაღის სტუმარი, კულტურულ საქველმოქმედო ცენტრი „სალამი" გახლდათ, მისმა თავმჯდომარემ, ქალბატონმა მაია რაჯაბოვამ, აღნიშნა რა ბაღის შექმნის საინტერესო იდეის შესახებ, გამოთქვა სურვილი თანამშრომლობისა, რომლის შესახებაც გაფორმებულ მემორანდუმს „სალამის" მხრიდან ხელი მაია რაჯიბოვამ და ბაგა-ბაღის მხრიდან, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაკა სამხარაძემ მოაწერეს, ვიზიტის ფარგლებში საქველმოქმედო ცენტრ „სალამი"-ს თავმჯდომარემ ფასიანი საჩუქრები გადასცა ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს.

რას წერენ ჩვენზე

საქართველოს დამოუკიდებლობის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა:

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი ჩვენი ქალაქის ბევრ საგანმანათლებლო ობიექტში სხვადასხვაგვარად აღინიშნა, ისტორიულ-შემეცნებითი ასპექტებით, ლიტერატურული კომპოზიციებით, მუსიკალურად, თვალსაჩინოებებით.

ეს თარიღი ორიგინალურად აღინიშნა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრში, იქ, სადაც სტუდენტთა ერთი ნაწილი აზერბაიჯანელია.

ზაურ დარგალი, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე, რაფი ორუჯოვი, გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნადირ მულქადარი, აზერბაიჯანელი პოეტი, ნიზამ მამედზადე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, შაბან მამედოვი, აზერბაიჯანელი მომღერალი, მაქსიმ რაჯაბოვი, საქართველოს ფოლკლორული გაერთიანების წარმომადგენელი, აშუღი, ხელმძღვანელი, მაია რაჯაბოვა – ეს არასრული სიაა მათი, ვინც ღონისძიებას ესწრებოდა და უშუალო მონაწილეობას იღებდა მასში ქართველ მასპინძლებთან ერთად. საზეიმო საკონცერტო რეპერტუარი ორსავე ენაზე მიმდინარეობდა, ქართველი სტუდენტები აზერბაიჯანულ ენაზე ამბობდნენ ლექსებს, აზერბაიჯანელები ქართულ ენაზე ამბობდნენ ქართველ პოეტთა ლექსებს.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გარი ჩაფიძე და სასწავლო ცენტრის პედაგოგები ლეილა გეგეშიძე, ქეთევან ცისკარაშვილი. აქტიურობდნენ სტუდენტები: ანი მეშველიანი, აიშა ბაირამოვა, ესმირა ნასიბოვა, ბადსაფა ისმაილოვა, აფსანე გულიევა, ოფელია მამედოვა, ლევან გვერიძე, ნინა ბაუერი.

ხალხმრავალ აუდიტორიაში ჩატარებულმა ღონისძიებამ, რომელიც ორივე ქვეყნის ჰიმნის შესრულებამ დაამშვენა, ყველას მოწონება დაიმსახურა.

სტუმრებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს დახვედრისთვის, ორივე მხარემ საჩუქრების გაცვლითაც დაამახსოვრა ეს დღე სტუმარს და მასპინძელს.

დისკუსია ბულინგის შესახებ

კიდევ ერთ კარგ სიახლეს ჩაეყარა საფუძველი რუსთავის აკადემიურ ქალაქში, ამიერიდან, აქ ყოველი ხუთშაბათი, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრისა და მათგან სალექციო კურსის მოსმენის დღედ გამოცხადდა, პირველი ასეთი ლექცია, რომელმაც მართლაც და უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნატორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა კახა კობერიძემ წარმართა ბულინგის თემაზე, რომელიც სტუდენტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები: ელენე ედიშერაშვილი, ლევან გვეხიძე, ნინა ბაუერი, გიორგი კილაძე, თორნიკე თეზიაშვილი და სხვები, სკოლის მანდატურთა საქმიანობის შესახებ ისაუბრეს პედაგოგებმა ლეილა გეგეშიძემ, ქეთევან ცისკარაშვილმა, დარეჯან იმერლიშვილმა, ნანა წიკლაურმა...

– ჩვენი წამოწყება, მართლაც და საინტერესოა, დიახ – „დიალოგი დემოკრატიის სივრცეში", ჩვენი ახალი პროექტია, რომელიც ამიერიდან ყოველ ხუთშაბათს ცნობილი ადამიანებისაგან მოსმენილი ლექციების განზოგადების საინტერესო ფორმატი იქნება – აღნიშნა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ და მომდევნო ხუთშაბათისათვის აფხაზეთის ყოფილი მთავარი სამხედრო პროკურორის, ზურაბ ქსოვრელის ვიზიტიც დააანონსა სალექციო თემით: – „არასრულწლოვანი და კანონი!"

უკრაინაში ქართული სკოლა გაიხსნა

უკრაინაში, ქ.კიევიდან სულ რაღაც 140 კილომეტრის დაცილებით ჩერნიგოვის ოლქია, ოლქი, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების პარტიზანული დიდების მხარის საპატიო წოდების მატარებელია, ოლქის ცენტრი ქალაქი ჩერნიგოვია, ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი ქალაქი უკრაინაში, სწორედ ამ ქალაქში, მის ცენტრალურ, ისტორიულ უბანში, შევჩენკოს ქუჩის 12 ნომერში, იქ, სადაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლობაა, ჩვენი ინსტიტუტისა და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით ქართული სკოლა გაიხსნა, რომელიც უდიდეს ისტორიულ მოვლენად შეფასდა, როგორც ქართველი ემიგრანტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, სკოლის დამფუძნებელმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ, ქართული სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე, ძალზე შთამბეჭდავი სიტყვის წარმოთქმისას უკრაინაში, ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის ინიციატივით ქართული კულტურის დღეების წარმართვაც დააანონსა, რომელშიც სასწავლო ცენტრების სტუდენტები ჩაერთვებიან.

ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი გაიხსნა

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ – „კოლორიტი 1991“-ის ეგიდით საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი გაიხსნა, – არაჩვეულებრივი მყუდრო გარემო, დაცული ტერიტორია, მზადება სასწავლო პროცესისათვის, თამაშობების, გართობა-დასვენების წინასწარ დამტკიცებული გრაფიკი, კოლექტიური დასწრება კულტურულ ღონისძიებებზე, ექსკურსიები... ნატურალური პროდუქტებისაგან მომზადებული სამი კომპონენტისაგან შემდგარი კვების რაციონი და სხვა უამრავი სიკეთე, რომლითაც დღის ცენტრის ბენეფიციარი აღსაზრდელები ისარგებლებენ.

ცენტრმა ბინა აკადემიური ქალაქის მეშვიდე კორპუსში დაიდო.

აკადემიურ ქალაქს საბერძნეთის დელეგაცია სტუმრობდა

ამ დღეებში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქს საბერძნეთის საგანმანათლებლო დელეგაცია ეწვია, ქალაქ ათენის განათლების სისტემის კომპანია „მობილ აერ გრუპის“ გენერალური მენეჯერის, პროფესორ იოჰანა კალაფუტის ხელმძღვანელობით, დელეგაციის შემადგენლობაში სხვა მეცნიერებთან ერთად იყო ქ. ათენის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის დირექტორი, პროფესორი დარეჯან ღამბაშიძე, რომელმაც აკადემიური ქალაქის სხვადასხვა სასწავლო ცენტრებთან, თანამშრომლობის ათზე მეტი მემორანდუმი გააფორმა, ასევე საყურადღებო იყო პროფესორ იოჰანა კალაფუტისა და საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმი – ბორტგამცილებელთა ერთწლიანი ერთობლივი სკოლის გახსნის შესახებ, კურსდამთავრებულთა რეალური დასაქმების გარანტიით.

ბერძენმა სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქი, გაეცვნენ სასწავლო, სააღმზრდელო და მეცნიერულ მიღწევებს და აღფრთოვანება ვერ დაფარეს იმ ინოვაციების მიმართ, რომელსაც აკადემიური ქალაქი ანხორციელებს რეალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

საბერძნეთის საგანმანათლებლო პროფესიულ დელეგაციას ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი, პროფესორი გარი ჩაფიძე, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თანამშრომლები მასპინძლობდნენ.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

საქართველო უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
ეს ოქვენ, სტუდენტი ვიქნები
✓ კომპიუტერული ინჟინერია
✓ კომპიუტერული გრაფიკა
✓ დაცვა-პატრულირება
✓ გარემოს დაცვა
✓ კრიმინალისტი
✓ ბანკის ოპერატორი
✓ ექთნის თანაშემწე
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ კბილის ტექნიკოსი
✓ სამკურნალო მცენარეების
დამამზადებელი
✓ ვეტერინარი
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ კორესპონდენტი
✓ გიდი, ტურიზმი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5
(აკადემიური ქალაქი)
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი, ქანთარიას №15
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
ქ. ხაშური, კოსტავას ქუჩა №10
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №57
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. კასპი, რუსთაველის ქუჩა №14
ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქუჩა №9
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის
გავლის დამადასტურებელ სამეცნოვან დიპლომს!